კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

# საინფორმაციო ბიულეტენი #8

2015 წლის აგვისტო

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

---

## საანგარიშო პერიოდში - 1 - 31 აგვისტო - მიღწეული შედეგები:

აგვისტო საშვებულებო პერიოდია. მოკლე დროის მიუხედავად, მაინც მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი შედეგები.

### გაგრძელდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობების, სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან.

- ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის წარმომადგენელი შეხვდა საკრებულოს წევრს ირმა პეტრიაშვილს. ისაუბრეს, ძალადობის მსხვერპლს რა ტიპის დახმარებები შეიძლება გაეწიოს ადგილობრივ დონეზე, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ უფრო ეფექტური მექანიზმების დასანერგად.
- სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორს შეხვედრა ჰქონდა საკრებულოს წევრთან, ისაუბრეს ქალაქში ინფრასტრუქტურის სფეროში არსებულ პროგრამებზე.
- ძალადობის პრევენციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს ხონის, წყალტუბოს, ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორებმა სოციალური სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე.
- ზუგდიდის გამგეობის იურისტს შეხვდა ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი, მიაწოდა ინფორმაცია, რამდენად ხშირად მიმართავენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრს ძალადობის მსხვერპლი ქალები და რა სახის სერვისებით სარგებლობენ.

ამ შეხვედრების შედეგად მობილიზატორებმა გაიგეს ინფორმაცია ქალაქებში არსებულ პროგრამებზე - ამის შესახებ მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული. ამიტომ ეს ინფორმაციები სამობილიზაციო შეხვედრებზე გავრცელდა.

- ექვსივე ქალაქის მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს. განხილული თემებიდან მათთვის საინტერესო აღმოჩნდა ინფრასტრუქტურული საკითხები ბიუჯეტში, რადგან ბენეფიციარები საინფორმაციო შეხვედრებზე ხშირად სვამენ შეკითხვებს ამ საკითხებზე.

- საჭირო ინფორმაციის გავრცელებით იზრდება ნდობის ხარისხი ბენეფიციარებსა და ცენტრის მობილიზატორებს შორის. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მიღებული ინფორმაცია საკუთარი საჭიროებისთვის გამოიყენეს და სხვადასხვა სახის დახმარებით ისარგებლეს.

**ხონის** მობილიზატორებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თირკმლის ქრონიკული დაავადებების, ლეიკემიის, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთათვის არსებობს ერთჯერადი დახმარებები 100 ლარის ოდენობით. მიღებული ინფორმაციის შემდეგ ორმა ბენეფიციარმა გადაწყვიტა, ისარგებლოს აღნიშნული დახმარებით და შესაბამის სამსახურს მიაკითხა.

**სენაკის** ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართა სოციალურად დაუცველმა ქალბატონმა. მას სჭირდებოდა მასალა სახურავის შესაკეთებლად. მობილიზატორებმა მოიძიეს ინფორმაცია, რომ ადგილობრივ გამგეობას აქვს პროგრამა მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად და დაეხმარნენ განცხადების დაწერაში. ათი დღის შემდეგ დადებითი პასუხი მოვიდა და შეატყობინეს, რომ მას შეუძლია ისარგებლოს სახურავის შესაკეთებლად საჭირო მასალით.

**წყალტუბოში** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მობილიზატორებმა შეიტყვეს, რომ არსებობს სხვადასხვა სახის დახმარება, მათ შორის 150-ლარიანი ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის, რომელთაც აქვთ 30000 და ნაკლები ქულა. ეს ინფორმაცია ახალი აღმოჩნდა ბენეფიციართა უმრავლესობისთვის. რამდენიმე მათგანმა მიიღო გადაწყვეტილება, ეს ინფორმაცია მიაწოდოს ახლობელს, რომელიც ამ კატეგორიაში შედის.

## პრობლემათა ადვოკატირება ცენტრების მობილიზატორების დახმარებით

**სენაკის** ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართა მარტოხელა დედამ, რომელიც ცხოვრობს აბაშის რაიონში. ის არის დევნილი, მაგრამ არა აქვს დაკანონებული საცხოვრებელი ფართი. არ იცის, ვის და როგორ მიმართოს. მობილიზატორი მასთან ერთად გაემგზავრა აბაშაში, ადგილობრივი გამგეობიდან აიღეს ცნობა, რის შემდეგაც მომზადდა განცხადება დევნილთა სამსახურის მისამართით. მან დაპირება მიიღო, რომ მისი საქმე განიხილება და მიიღებს დადებით პასუხს.

**ხურჩაში** სამობილიზაციო შეხვედრაზე ერთ-ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ ის შვილებთან ერთად ძალადობის მსხვერპლია, რადგან მეუღლე, რომელიც არ მუშაობს, ხშირად სვამს. ოჯახში გადანახული ფულით სასმელს ყიდულობს. მობილიზატორმა შესთავაზა, ისარგებლოს იურისტის და ფსიქოლოგის კონსულტაციით. ბენეფიციარმა ცენტრის მობილიზატორს სთხოვა, ესტუმროს ოჯახში და ესაუბროს მის მეუღლეს. ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი სოფელში ავტორიტეტული ადამიანია. მისი რამდენიმე სტუმრობის შემდეგ ოჯახში სიტუაცია შეიცვალა. ქალბატონი ამბობს, რომ ქმარს გამოსწორება დაეტყო, ნაკლებად სვამს და უკვე ეძებს სამუშაოს, რათა ოჯახს ფინანსურად დაეხმაროს.

**ფოთში** ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარებისათვის მიმართა ახალგაზრდა მამაკაცმა. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში და არა აქვს დევნილის მოწმობა. მობილიზატორმა მისცა მას მიმართულება, ვის მიმართოს და როგორ დაიწყოს პროცესი საჭირო დოკუმენტების მისაღებად.

**წყალტუბოს** მობილიზატორმა შეიტყო ინფორმაცია, რომ გამგეობა აცხადებს ვაკანსიას ქუჩის დამლაგებელზე. ეს ინფორმაცია გავრცელდა სამობილიზაციო შეხვედრაზე. დასაქმდა მამაკაცი, რომელსაც ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. მის ოჯახს გაუჩნდა შემოსავალი.

## გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

შეივსო 11 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს და ძალადობას ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. მობილიზატორთა აქტიური მუშაობით 11-დან ოთხმა მიმართა ფსიქოლოგს დამარებისათვის. დანარჩენებთან კი გრძელდება საკონსულტაციო და საინფორმაციო მუშაობა მათი  მომზადებისათვის, რომ საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად ქალთა მხარდაჭერის ცენტრში არსებული სერვისებით ისარგებლონ.

## იურისტებისა და ფსიქოლოგების კონსულტაციების მეშვეობით დარეგულირდა კონკრეტული შემთხვევები

-სენაკში იურისტს მიმართა ძალადობის მსხვერპლმა, რომელსაც აინტერესებდა ინფორმაცია, ვის უნდა მიმართოს ძალადობის განმეორების შემთხვევაში და რა პროცედურებია საჭირო მოძალადის დასაკავებლად. მან არ ისურვა საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება, კონსულტაცია მიიღო. მისი ანონიმურობა დაცულია.

-ფოთში ქალბატონმა იურისტს მიმართა, რათა მიეღო ინფორმაცია, რა სახის საბუთებია საჭირო ბინის არენდასთან დაკავშირებით და ვის უნდა მიმართოს. კონსულტაციის შემდეგ ბენეფიციარმა ყველა პროცედურა გაიარა და დოკუმენტებიც მოაწესრიგა.

-წყალტუბოში გასულ თვეს იურისტთან ერთად მომზადდა განქორწინებისთვის საჭირო საბუთები. ქალბატონმა ყველა პროცედურა გაიარა და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაენიშნა ალიმენტი.

-წყალტუბოში იურისტს მიმართა ქალბატონმა, რომელსაც აინტერესებდა ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებული საკითხები.

- ფონდი „სოხუმის“  ფსიქოლოგი და იურისტი იმყოფებოდნენ სოფელ კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სადაც ძალადობის მსხვერპლ გოგონას გაეწია კონსულტაცია, შეავსეს სპეციალური ანკეტა მსხვერპლის სტატუსის მისაღებად. მასთან მუშაობა დღემდე გრძელდება.

-ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე ერთი ძალადობის მსხვერპლის ზარი დაფიქსირდა. ერთმა ბენეფიციარმა ინტერნეტით მიიღო კონსულტაცია.

## ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, ფოთის, სენაკისა და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ლიდერები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ შეხვედრებს

- სამობილიზაციო შეხვედრები ჩატარდა სოფლებში: ქვილიშორი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ბათარია (სენაკის მუნიციპალიტეტი), ხურჩა/კოკი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ქარჩხაპი (ხონის მუნიციპალიტეტი).
- სოფლებში სამობილიზაციო შეხვედრების შედეგად გაფართოვდა თანამშრომლობა ცენტრის ლიდერებსა და სოფლის გამგეობის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივ გამგეობას აქვს ინფორმაცია ფონდი „სოხუმის“ მუშაობაზე ძალადობის პრობლემის პრევენციისთვის.

## ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ოზურგეთსა და ქუთაისში

- ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა ქუთაისის სახელმწიფო ბალანსზე მყოფი კრიზისული ცენტრის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნული ცენტრის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.
მეორე ინტერვიუერი იყო ოზურგეთში მოქმედი კრიზისული ცენტრის წარმომადგენელი. ცენტრი ამ ეტაპზე არ მუშაობს, რადგან დონორი არ ჰყავს. ინტერვიუერი ცენტრის მნიშვნელობაზე და ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერის აუცილებლობაზე საუბრობს.
-ფოკუს-ჯგუფები გაიმართა ჟურნალისტებთან ოზურგეთში და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან - ქუთაისში. ითქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები კარგი რესურსია და ხელისუფლებამ მეტად უნდა ითანამშრომლოს ამ სექტორთან. რაც შეეხება მედიას, ჯერ კიდევ დაბალია მისი როლი ძალადობის პრობლემის პრევენციაში. ხაზგასმით ითქვა ჟურნალისტთა არაპროფესიონალურ მიდგომაზე თემის გაშუქებისას.

## გაიმართა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან. გაჩნდა ახალი ინიციატივები

- აგვისტოში სტუდენტთა დიდი ნაწილი საკუთარ ქალაქს უბრუნდება. აქედან გამომდინარე, ვორკშოპებში გამოჩნდნენ ახალი სახეები და გაიზარდა ინფორმირებულ ადამიანთა რიცხვი.
-სენაკში ახალგაზრდებთან ჩატარებულ ვორკშოპზე მონაწილეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ოჯახური კონფლიქტების თემით. ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც სენაკის ახალგაზრდული საკრებულოს წევრია, გამოთქვა სურვილი, ამ თემაზე ახალგაზრდულ საკრებულოში ჩაატარონ რაიმე ფორმატის ღონისძიება (დებატი ან მრგვალი მაგიდა), რადგან მიაჩნია, რომ ეს საკითხი ახალგაზრდებში განსაკუთრებით აქტუალურია.
- ვორკშოპის ერთ-ერთმა მონაწილემ, საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად, ისარგებლა იურისტის მომსახურებით.

## ფორუმ-თეატრმა წარმოდგენები გამართა ძალადობის თემაზე

- ფორუმ-თეატრის გამოსვლა ჩატარდა ქუთაისში, ნინოშვილის პარკში. ტერიტორია ხალხმრავლობით გამოირჩევა. მოქალაქეები ჩერდებოდნენ და თვალს ადევნებდნენ წარმოდგენას, დისკუსიაში უფროსი ასაკის ქალბატონები ჩაერთნენ. მოქალაქეთა

უმრავლესობამ აღნიშნა,  რომ მსგავსი რამ პირველად ნახა. აღინიშნა, რომ ასეთი რამ ხშირად უნდა იმართებოდეს მსგავს ადგილებში, რათა მოქალაქეებმა იგრძნონ ძალადობის პრობლემის სიმძიმე.

- ფორუმ-თეატრის მეორე შეხვედრა მოეწყო ხონში, დევნილთა დასახლებაში, დაინტერესება დიდი იყო, განსაკუთრებით - ოჯახურ კონფლიქტებთან დაკავშირებული სცენების მიმართ.

**აქტიურად მუშაობენ ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული კლუბები: ახალ ადგილებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო ახალი ბენეფიციარების მოზიდვას.**

-ზაფხულის მიუხედავად, ახალგაზრდული კლუბების მუშაობის ტემპი არ შენელებულა. გამოჩნდნენ ახალი ბენეფიციარები (დამსვენებლები, სტუდენტები), რომლებიც ახალგაზრდული კლუბების მუშაობას შეუერთდნენ.

- კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის მოხალისეებმა საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს სოფელ ორსანტიაში.

- სენაკის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ღონისძიებით აღნიშნეს.

- ხონის ახალგაზრდული კლუბის აქტივისტებმა ორგანიზება გაუკეთეს ახალგაზრდების გამგზავრებას საზაფხულო ბანაკებში.

## აგვისტოში ჩატარდა 77 აქტივობა.

## მონაწილეობა მიიღო 838 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემებზე: „ახალგაზრდების საერთაშორისო დღე“, „სუიციდი და მასთან დაკავშირებული პრობლემები“ – 358 მონაწილე

6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 76 ადამიანი

9 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში, მათ შორის 2 ინდივიდუალური სეანსი - 58 მონაწილე

6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენ-ტრებში - 49 მონაწილე.

6 საინფორმაციო-საკონსულტაციო  შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 57 მონაწილე

6 ახალგაზრდული კლუბი – 83 მონაწილე

6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 87 მონაწილე

2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 52 მონაწილე

4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 18 მონაწილე

# ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

## ქუთაისი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა ყოფილი მუსიკალური სკოლა-ინტერნატის, ყოფილი აბრეშუმკომბინატის და ინვალიდთა საწარმოს კოლექტიურ ცენტრებში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგის შეხვედრა მიეძღვნა თემას „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“. იგივე თემა იყო სასაუბროდ ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონ-სულტაციო შეხვედრებზე 7 კოლექტიურ ცენტრში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული იურიდიული კონსულტაციის მთავარი თემა იყო საქართველოს კანონი არენდის შესახებ, მასთან დაკავშირებული პროცედურები და ბავშვთა უფლებები. იურისტმა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა აგ-რეთვე ქუთაისის 6 სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში თემებზე - შრომითი უფლებები, სამეზობლო დავები და მასთან დაკავშირებული პროცედურები.

ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ფონდ „სოხუმში“ თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.

გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალგაზრდების ჯგუფთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე: „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახში ძალადობაზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით.“

***

ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე იმყოფებოდა ქალი, რომელსაც აქვს კონფლიქტი ოჯახში. ქალი ეროვნებით ბელარუსია, მეუღლე - ქართველი. ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, ბელორუსიაში გაყიდეს საცხოვრებელი და საქართველოში გადმოვიდნენ. აღებული ფულით საცხოვრებელი იყიდეს, დარჩენილი თანხის ნაწილი კი მეუღლემ ბიზნესში ჩადო. ერთ მშვენიერ დღეს გამოუცხადა, რომ ბიზნესმა არ გაამართლა და ფული აღარ აქვს. მეუღლის მეგობრებისგან გაიგო, რომ ფული წააგო და სწორედ ეს იყო ცვლილების მიზეზი. დაიწყო ოჯახური კონფლიქტი, მეუღლემ დალევას მოუხშირა, ქალი დეპრესიაში ჩავარდა. ნაცნობის რეკომენდაციით, ფსიქოლოგთან მოვიდა. რამდენიმე სეანსი გაიარა, დეპრესიიდან გამოვიდა, რის შემდეგაც დაიწყო საკუთარი პრობლემის მოგვარება. მეუღლის დახმარება გადაწყვიტა, წაგებული ფულის გასასტუმრებლად დროებით ბელორუსიაში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც ორივე იმუშავებს და პრობლემის მოგვარების შემდეგ დაბრუნდებიან.

## წყალტუბო

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზა-ციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, სასტუმროები „იმერეთი“, „ცენტროსოიუზი“, „წყალტუბო“, სოფელი ქვილიშორი.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „სტერეოტიპებით გამოწვეული სოციალური სტიგმა-დისკრიმინაცია“.

იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის თემა იყო ანდერძი, ხელშეკრულება და ადმინისტრაციული კანონი.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.

ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალთა მხარდაჭერის ცენტრში - ქალების ჯგუფთან თემაზე: „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახურ კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით.“

***

წყალტუბოში გასულ თვეს იურისტთან მოვიდა ქალბატონი, რომელიც რამდენიმე წელია, ქმარს გაცილებულია. მის ყოფილ ქმარს კარგი შემოსავალი აქვს, მაგრამ შვილს არაფერს აძლევს. იურისტთან კონსულტაციის შემდეგ მან გადაწყვეტილება მიიღო, განქორწინება ოფიციალურად გააფორმოს. მომზადდა განქორწინებისთვის საჭირო საბუთები. ქალბატონმა ყველა პროცედურა გაიარა და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მის შვილს დაენიშნა ალიმენტი 200 ლარის ოდენობით.

## ხონი

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##84, 85, 89, 90, 96,102 სახლებში და სოფელ ქარჩხაპში.
იურისტის საინფორმაციო შეხვედრა მიეძღვნა ქალთა მიმართ ძალადობის თემას. ისაუბრეს ასევე სამეზობლო დავებზე.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ახალგაზრდული კლუბის შეხვედრის თემა იყო „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“
ჩატარდა ვორკშოპები ახალგაზრდებთან თემაზე „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახურ კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით“.

***

ხონის რაიონის სოფელ კუხში ფსიქოლოგმა პირველად ჩაატარა შეხვედრა თემაზე: „სტერეოტიპებით გამოწვეული სოციალური სტიგმა-დისკრიმინაცია“. შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის გამგეობის წარმომადგენლები და სოფლის მკვიდრი ქალბატონები. აღინიშნა, რომ ოჯახური კონფლიქტები და საერთოდ ოჯახური ძალადობის პრობლემა საკმაოდ სერიოზულია, თუმცა არსებული სტერეოტიპებით გამოწვეული სტიგმა იმდენად ძლიერია, რომ ძალადობის ძირითადი ნაწილი ოჯახს გარეთ არ გამოდის. პირველი შეხვედრის მიუხედავად გარკვეული ცვლილებები მაინც გამოიკვეთა. ბოლოს ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ მის მეზობლად რამდენიმე წელია მეუღლე ძალადობს ცოლზე, არც ერთი მეზობელი მათთან არ შედის, რადგან ქმარი ამბობს, რომ ეს მათი ოჯახის საქმეა. შეხვედრის მონაწილემ განაცხადა: „მე არ ვაპირებ მოვიქცე ისე, როგორც ადრე ვიქცეოდი, აუცილებლად ჩავერევი ამ ოჯახურ კონფლიქტში, უფრო მეტიც, ცოლს აუცილებლად მივაწოდებ ინფორმაციას, რომ  მას აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი უფლებები, რომ ის არ არის მონა და დუმილით პრობლემა არ მოგვარდება“.
მონაწილეებმა მობილიზატორის საკონტაქტო ინფორმაცია დაიტოვეს იმ მიზნით, რომ მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში რეაგირებას გააკეთებენ და მხოლოდ მეთვალყურის პოზიციაზე არ იქნებიან.

## ფოთი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: ახალი რაიონი - გაგრის ქუჩა, სახლები,  ## 10, 10ა, 12, სასწავლო ცენტრი ##1, 2, 3.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „სტერეოტიპებით გამოწვეული სოციალური სტიგმა-დისკრიმინაცია.“
იურისტის კონსულტაციის საკითხებს წარმოადგენდა: ქორწინება, ბინის გირავნობა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული კოდექსი.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალ რაიონში, ქალების ჯგუფთან „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახურ კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით.“

***

ქრისტინე ს. 12 წლის იყო, როცა მამამ მეორე ცოლი შეირთო და მასთან ერთად რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. დედა იძულებული გახდა, სამუშაოდ თურქეთში წასულიყო. ბავშვი დარჩა ბებიასთან ერთად. ოჯახის დანგრევამ მასზე მძიმედ იმოქმედა, საკუთარ თავში ჩაიკეტა, ვერავისთან მეგობრობდა, მოხუც ბებიას მუდმივად ეჩხუბებოდა, მისი საერთოდ არ ესმოდა. დედას ტელეფონზე არ პასუხობდა და ხშირად მის გამოგზავნილ საჩუქრებს დემონსტრაციულად ხელს არ ჰკიდებდა. მეგობრის რჩევით, რომელიც ფონდი „სოხუმის“ ფოთის ახალგაზრდული კლუბის წევრია, კონფლიქტოლოგიის ვორკშოპს დაესწრო. პირველ შეხვედრაზე ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა, თვალებში არავის უყურებდა. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ საუბარში ჩაერთო, ემოციები გამოხატა. როგორც თვითონ ამბობს, საკუთარ თავს სხვა მხრიდან შეხედა და მიხვდა, რომ არასწორად იქცეოდა. მაშინ, როცა მისი თანატოლები აქტიურობდნენ, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობდნენ, ის ბებიასთან და დედასთან კინკლაობით იყო დაკავებული. ამის შემდეგ ქრისტინე ფსიქოლოგთან შეხვედრებსაც დაესწრო. უფრო ლაღი გახდა. ბებიასაც არ ეჩხუბება და დედასთანაც ნორმალური ურთიერთობა აქვს.

## სენაკი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: სასტუმროები „მენჯი“ და „ეგრისი“, მე-5 ტრესტი, პროფსასწავლებელი, სამხედრო ქალაქი, სოფელი ბათარია.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხებით: საკუთრების ცნება, საკუთრების უფლება, მესაკუთრისა და მფლობელის ვალდებულებები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე: „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახურ კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით.“

***

რუსუდან ინაიშვილი ფონდი „სოხუმის“ აქტივისტია, ორი წელია ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობს. სენაკის ახალგაზრდული კლუბის წევრია. ამბობს, რომ ის, რაც ვერ მიიღო სკოლის პროგრამიდან, სწორედ არაფორმალური განათლებით

ჩამოუყალიბდა: ორგანიზაციული ნიჭი, იდეების ჩამოყალიბება და მისი განხორციელება, დებატების წარმართვა, წამყვანის უნარ-ჩვევები. მიღებული გამოცდილების საფუძველზე რუსიკო სენაკის ახალგაზრდული საკრებულოს წევრი გახდა. მისი გამორჩეული ინოვაციური ნიჭი, კრეატიულობა არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა, ის მალე ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. რუსიკო გეგმავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის თემა სამუშაო გრაფიკში შეიტანოს და ამ თემაზე დისკუსიები ახალგაზრდულ საკრებულოში გააგრძელონ. რუსიკოს მაგალითი გადამდები აღმოჩნდა სხვა ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდულ შეხვედრებზე სრულიად ახალი მონაწილეები გამოჩნდნენ.

## ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.

ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სოფელ კოკიდან ჩამოსული ქალებიც.

იურისტის კონსულტაციაზე შეეხნენ მიწით სარგებლობის სამართლებრივ ნორმებს და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.

კოკის ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა სოფელ ორსანტიის სკოლაში გამართეს შეხვედრა ბავშვთა უფლებებზე.

სიფელ კოკში ჩატარდა ვორკშოპი ახალგაზრდებთან კონფლიქტოლოგიაში „პიროვნული კონფლიქტების გავლენა ოჯახურ კონფლიქტზე და მისი მოგვარების გზები, ძალადობის პრევენციის მიზნით“.

***

ხურჩაში სამობილიზაციო შეხვედრების შემდეგ მობილიზატორებს დახმარებისათვის მიმართა ერთმა ქალბატონმა. როგორც აცნობა, მეუღლე არ მუშაობს, ხშირად სვამს. ოჯახში თუ რამეს გაყიდიან, საჭმლის ფულს არ იტოვებს, ყველაფერი სასმელში მიდის. არ უსმენს არავის: არც მეზობლებს, არც ნათესავებს. ბენეფიციარმა ცენტრის მობილიზატორს სთხოვა, ესტუმროს ოჯახში და ესაუბროს მის მეუღლეს, რადგან ის ავტორიტეტული ადამიანია და მისი მეუღლე პატივისცემით არის მის მიმართ განწყობილი. რამდენიმე სტუმრობის შემდეგ ოჯახში სიტუაცია შეიცვალა. ქალბატონი ამბობს, რომ ქმარს გამოსწორება დაეტყო, ნაკლებად სვამს და უკვე ეძებს სამუშაოს, რათა ოჯახს ფინანსურად დაეხმაროს. სამობილიზაციო შეხვედრებზე სხვა ქალებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც თავიანთი პრობლემების მოგვარების იმედი აქვთ.